ხელშეკრულება #279

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

თბილისი " 26 " " აპრილი " 2023 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში "შემსყიდველი") გენერალური დირექტორის მოადგილის ტარიელ ჭანტურიძის სახით და მეორე მხრივ, სს "ევექსის ჰოსპიტლები" - მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორი თამარ ვახტანგაძის სახით, ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.

1.2 "2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" 2022 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N609 დადგენილება (შემდგომში „დადგენილება") შესაბამისად.

1.3 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

1.4 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება.

1.5 „ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამა "გრიპზე, გრიპისმაგვარ დაადაბებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება" კომპონენტი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. "ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამის გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე (მ.შ., კორონავირუსზე) რეაგირება, კომპონენტის დაფინანსების ფარგლებში (CPV 85140000, სხვადასხვა მომსახურება ჯანდაცვის სფეროში, SMP220003669), რომელიც მოიცავს:

ა) საყრდენი ბაზების მომსახურებას – ქვეყანაში შერჩეული საყრდენი ბაზებიდან გრიპის/გრიპისმაგვარი დაავადების, მძიმე მწვავე რესპირაციული დაავადების, კორონავირუსის კლინიკური ნიშნების მქონე პაციენტებში ნიმუშების აღებასა და შენახვას;

ბ) საყრდენი ბაზებიდან გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებზე, მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებსა და კორონავირუსზე საეჭვო პაციენტების კლინიკური ნიმუშების ცენტრში ტრანსპორტირებასა და ლაბორატორიულ კვლევას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3 840.00 (სამიათას რვაასორმოცი) ლარს (მ. შ. დეკემბრის თვის ღირებულება შეადგენს 480,00 (ოთხასოთხმოცი) ლარს) დღგ-ს გათვალისწინებით. მ.შ.:

3.1.1 ერთი მენეჯერის ერთი თვის ანაზღაურება შეადგენს 240.00 (ორასორმოცი) ლარს, ხოლო 2 მენეჯერის ერთი თვის ანაზღაურება შეადგენს 480.00 (ოთხასოთხმოცი) ლარს.

3.2 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, არაუმეტეს 10%-ისა.

4. ხელშეკრულების ობიექტი და დეტალური აღწერილობა

4.1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია "გრიპზე, გრიპისმაგვარ დაადაბებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება" კომპონენტის შესრულების მიზნით „პროტოკოლით" (დანართი 1) განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელება (შემდგომში „მომსახურება"): შემთხვევების მოძიება; სინჯების აღება, ყოველკვირეული ანგარიშგება შემთხვევათა მიმართვიანობის შესახებ (ფორმა #1 და ფორმა #2); სინჯების ადექვატური შენახვა, მუდმივი კონტაქტი „შემსყიდველი" ორგანიზაციის მიერ დანიშნულ კომპონენტის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთან.

4.2 „პროტოკოლი" წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მასში ცვლილების შეტანა არ შეიძლება „შემსყიდველთან" შეთანხმების გარეშე.

4.3 ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვისა, ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით საანგარიშო პერიოდში გაწეული „მომსახურების" (შესრულებული სამუშაოს) შესახებ ანგარიშის წარმოდგენა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ფორმებით, რომლებიც განთავსებული იქნება „შემსყიდველის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.ncdc.ge.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის (გაწეული მომსახურების) ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „დადგენილებით" განსაზღვრულ და ხელშეკრულებაში (მ.შ. თანდართული ინსტრუქციით) გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1. „მომსახურების“ გაწევის ადგილია: თბილისი, ლუბლიანას ქ. 13/მ. ჭიაურელის 6.

6.2 „მომსახურების“ გაწევის ვადაა 2023 წლის 1 მაისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.3 გაწეული „მომსახურების“ ანგარიშგების ფორმა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით, „შემსყიდველის“ ინდივიდუალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმა და მათი შევსების ინსტრუქცია, რომელიც განთავსებულია „შემსყიდდველის“ ოფიციალური www.ncdc.ge ვებ-გვერდზე.

6.4 „მომსახურების“ ანგარიშგება განხორციელდება დადგენილების მე-9 მუხლით და წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.3 “მიმწოდებელთან” ანგარიშსწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა, ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

7.4 “მიმწოდებელი” ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვისა ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით მის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული „მომსახურების“ (შესრულებული სამუშაოს) შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.5 „მიმწოდებელი“ სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი“ ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გაცნობისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს“.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული შესრულების შემდგომ ან/და გარკვეული ეტაპის დამთავრების შემდგომ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილია: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

8.3 არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს“ მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.

8.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება „შემსყიდველის“ უფლებამოსილ პირებს: მართვადი, რესპირატორული და ზოონოზური დაავადებების სამმართველოს სპეციალისტი ირაკლი ქარსელაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსს ვერა უთიაშვილს, სამმართველოს უფროს სპეციალისტს მიხეილ გელოვანს, ხოლო მათი არ ყოფნის შემთხვევაში შესაბამისი მოვალეობის შემსრულებელ პირებს.

9. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

9.1 “მიმწოდებელი” იძლევა “მომსახურების” შესაბამისი ხარისხის სრულ გარანტიას.

9.2 უხარისხო “მომსახურების” მთლიანად ან ნაწილის გამოსწორება ხდება “მიმწოდებელის” მიერ რაიმე დამატებითი ხარჯების მოთხოვნის გარეშე.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10. 1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

10.1.1 აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” გაწეული „მომსახურების“ ღირებულება.

10.1.2 მიაწოდოს “მიმწოდებელს” ინფორმაცია და სრული დოკუმენტაცია შესასყიდი ობიექტის შესახებ.

10.1.3 დაუყოვნებლივ აცნობოს “მიმწოდებელს” მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც შედის “შემსყიდველის” კომპეტენციაში და რომელიც შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.1.4 გადასცეს ”მიმწოდებელს” პროგრამის/კომპონენტის ფარგლებში დროებით სარგებლობაში სინჯების აღება-ტრანსპორტირება-შენახვისთვის საჭირო მასალები და კომპიუტერული და სხვა ტექნიკა, რაზეც გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და მირება-ჩაბარების აქტი.

10.2 “მიმწოდებელი” ვალდებულია:

10.2.1 მიაწოდოს “შემსყიდველს” “მომსახურება”, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და ყველა სხვა მონაცემებით “შემსყიდველის” დაკვეთას.

10.2.2 აცნობოს “შემსყიდველს” ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

10.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

10.2.4 მიიღოს „შემსყიდველის“ მიერ გადაცემული მატერიალური ფასეულობები და მოთხოვნის შემთხვევაში (ასევე„მომსახურების“ გაწევის ვადის გასვლის შემდეგ) არაუგვიანეს 10 დღისა დაუბრუნოს „შემსყიდველს“.

10.2.5 „შემსყიდველს“ მიაწოდოს თვის სამოქმედო ტერიტორიიდან ზუსტი ყოველკვირეული ინფორმაცია და ასევე უზრუნველყოს სინჯების აღება ზედამხედველობას დაქვემდებარებული შემთხვევებიდან.

10.2.6 „მომსახურების“ განხორციელებასში მონაწილე პერსონალის შემადგენლობა მკაცრად იქნად დაცული და „შემსყიდველთან“ შეთანხმების გარეშე არ განხორციელდეს ცვლილებები დანართი #1-ში (დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

10.3 “შემსყიდველი” უფლებამოსილია:

10.3.1 მოითხოვოს “მიმწოდებლისაგან” ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;

10.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ “მიმწოდებელი” დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;

10.3.3 განახორციელოს უწყვეტი მონიტორინგი, ამის განხორციელებისთვის უნდა იყოს შექმნილი პირობები;

10.3.4 მოითხოვოს “მიმწოდებლისაგან” სათანადო განმარტებანი, დოკუმენტაცია, რომლის არსებობის გარეშეც შეუძლებელი იყო “მომსახურების” გაწევა;

10.3.5 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ “მიმწოდებელის” ქმედების გამო იგი დგება ფაქტთან, რომ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო ინტერესები, მოითხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება;

10.3.6 არ სცნოს “მიმწოდებელის” არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.3.7 არ აანაზღაუროს გაწეული „მომსახურება“ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების არასრულად შესრულების შემთხევაში.

10.4 “მიმწოდებელი” უფლებამოსილია:

10.4.1 მოითხოვოს “შემსყიდველისაგან” მის მიერ მიწოდებული “მომსახურების” ღირებულების ანაზღაურება.

10.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან გაგრძელებაზე იმ შემთხვევაში თუ “შემსყიდველის” მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო შეუძლებელი ხდება “მომსახურების” მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება “შემსყიდველთან” სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

10.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს “შემსყიდველის” მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

10.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გმაოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პირგასამტეხლო)

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადების დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა დარჩენილი გასაწევი „მომსახურეობის“ ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაანგარიშებით.

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ერთჯერადად იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით დარღვევის ყოველი ფაქტის დაანგარიშებით.

11.3. ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციები რეგულირდება „დადგენილებით“.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

11.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6. „შემსყიდველს“ შეუძლია ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.6.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“;

11.6.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში;

11.6.3 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

11.6.4. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.6.5. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

11.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.8. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად „მომსახურების“ მიზნობრივად გატარების შესახებ „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

12.1.1. უშუალოდ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების“ პერიოდს (ან „მომსახურების“ დასრულებულ ციკლს).
12.1.2. არ აანაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების“ ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
12.1.3. განახორციელოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება „მიმწოდებლის“ მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და შემთხვევების შერჩევითი შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
12.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღე.

13. ხელშეკრულების სხვა პირობები

13.1. მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების დადების და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი მთელი ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში - კომერციულ საიდუმლოებად) და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13. 2 მხარეები იღებენ ვალდებულებას მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.
13.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შეთანხმებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
13.4 „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
13.5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.
13.6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ, ცალმხრივად მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების უხეში დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში.
14.2 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
14.3 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

15. გამოსაყენებელი სამართალი

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

17. ურთიერთობა მხარეებს შორის

17.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.
18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 1 მაისიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით.
18.3. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით და მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. დამატებითი პირობები

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

19.2 ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე ვრცელდება აგრეთვე დადგენილებით გათვალისწინებული პირობები.

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის # GE24NB03 3010 0200 1650 22

„მიმწოდებელი“

სს „ევექსის ჰოსპიტლები“
მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო
ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. 13/6
საიდენტიფიკაციო კოდი 404476205
ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი“
ბ/კ: TBCBGE22
ა/ა: GE87TB7951236020100021

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health

Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2023.04.26 14:37:18 +04'00'

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის ხელწერილი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 8) და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების (მუხლი 8) შესაბამისად ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ „მიმწოდებელთან“ ურთიერთობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვიზა: ო. ნამიჭეიშვილი

ხ. ზახაშვილი

ვ. გეთია

ვ. უთიაშვილი

გ. ქობალია

ლ. ებანოიძე

ნ. მარჯანიძე-თორაძე

ო. თარხან-მოურავი

კ. გულუა

მ. მახარაძე

ი. ქარსელაძე

მ. გელოვანი

ა. მეტრეველი

შემსრულებელი: ნ. აბაზაშვილი

#	მომსახურების დასახელება	ერთი თვის ღირებულება	მთლიანი ღირებულება	მომსახურების განხორციელების ადგილი	შენიშვნა
1	შერჩეულ დღეებში, რუტინული მუშაობის პარალელურად, სინჯების ასაღებად გრიპისმაგვარი დაავადებების ამბულატორიული შემთხვევების (I I) სავალდებულო მოძიება შემდგომი ვირუსოლოგიური კვლევისთვის (სინჯების აღება; ყოველკვირეული ანგარიშგება შემთხვევათა/მიმართვიანობის შესახებ (ფორმა #1 და ფორმა #2); სინჯების ადექვატური შენახვა; მუდმივი კონტაქტი „შემსყიდველის“ მიერ დანიშნულ კომპონენტის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთან)	480	3 840.00	თბილისი, ლუბლიანას ქ. 13/მ. ჭიაურელის 6	

პროტოკოლი: 2023 გრიპზე საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობისათვის

საყრდენ ბაზებში მომუშავეთა რაოდენობა და მოვალეობები:

თითოეულ საყრდენ ბაზებში მომუშავეთა რაოდენობა სავალდებულოდ მოიცავს ყველა ექიმს, რომლებიც არიან სამედიცინო მომსახურების პირველადი მიმწოდებლები. ადმინისტრაციის არჩევანის მიხედვით, შესაძლებელია მომუშავეთა რიცხვი გაიზარდოს ვიწრო სპეციალობის მომსახურე პერსონალითა და ბაზის ფუნქციონირებისათვის/ადმინისტრირებისათვის საჭირო სპეციალისტით(ებით).

სამედიცინო მომსახურების პირველადი მიმწოდებლების მოვალეობაა შერჩეულ დღეებში, რუტინული მუშაობის პარალელურად, დაწესებულების პროფილის შესაბამისად (პოლიკლინიკა, ჰოსპიტალი), მოიძიონ გრიპისმაგვარი დაავადებების ამბულატორიული და მძიმე მწვავე რესპირატორული ინფექციების ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები (ILI; SARI), სავალდებულოდ აიღონ სინჯები შემდგომი ვირუსოლოგიური კვლევისთვის, შეავსონ სათანადო ფორმები (№1 და №2) და წინასწარ შეთანხმებულ კვირის დღეებში მოახდინონ მათი ჩაბარება შესაბამისი პასუხისმგებელი პირისთვის.

დაწესებულება ვალდებულია: განათავსოს სინჯის ასაღები მოწყობილობა და ხარჯვადი მასალები, დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების პირველადი მიმწოდებლისათვის ხელმისაწვდომ ადგილას; კოორდინაცია გაუწიოს საყრდენი ბაზის მუშაობას; აგრეთვე მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს ყველა საეჭვო შემთხვევასა და კლასტერებზე, რომლებიც რაიმე სახით აღინიშნება საყრდენი ბაზის გეოგრაფიულ არეალში; უზრუნველყოს ლაბორატორიული კვლევისათვის სინჯის აღება იმ შემთხვევებიდან, რომლებიც შეესაბამება ქვემოთ მოცემულ განსაზღვრებებს; აწარმოოს ინფორმაციის რეგისტრირება და აგრეგირება (ფორმა 1) სათანადო ფორმებში (მ.შ. ელექტრონულში); უზრუნველყოს აღებული სინჯების ხარისხიანი შენახვა; იქონიოს მუდმივი კავშირი დკსჯეც-ს პროექტის „გრიპზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება ეროვნული ჯანდაცვის ორგანოების მიერ ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ“ ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებთან; სამედიცინო მომსახურების პირველადი მიმწოდებლები უზრუნველყოს ლაბორატორიული ნიმუშის ასაღები ანაწყობით, შეტყობინება-სარეგისტრაციო-საანგარიშო ფორმებით და სხვა ხარჯვადი მასალებით. გარდა ამისა, მისცეს დკსჯეც-ს წარმომადგენელს ნებართვა, ჩაუტაროს მონიტორინგი საყრდენი ბაზის მუშაობას, სარეგისტრაციო მასალების გადახედვის ჩათვლით.

საყრდენი ბაზა დკსჯეც-ს მიერ უზრუნველყოფილი არის: პროტოკოლით გაწერილი, ქმედებებსთვის საჭირო განსახორციელებელი აღჭურვილობით.

საყრდენ ბაზებში განსახორციელებელი ღონისძიებები

საყრდენ ბაზებში ზედამხედველობას ახორციელებენ (ბაზის პროფილის შესაბამისად, პოლიკლინიკა) მძიმე მწვავე რესპირაციული დაავადებისა და გრიპისმაგვარი დაავადებების აბულატორული შემთხვევების, რომლებიც სამედიცინო მომსახურებისათვის მიმართავენ დაწესებულებას.

საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობის ამოცანებია:

სეზონურიგრიპის დაავადების ტვირთისა და მისი ეპიდემიოლოგიის შესახებ მონაცემთა მოწოდების უზრუნველყოფა;

ლაბორატორიული კვლევისათვის ნიმუშების აღება;

H5N1 (ან ნებისმიერი სხვა ახალი გრიპის ვირუსის) ადრეული შეტყობინების სისტემისა და შესწავლა-რეაგირების ტრიგერებისათვის დამატებითი ინფორმაციით უზრუნველყოფა.

შემთხვევათა სტანდარტული განსაზღვრება:

გრიპისმაგვარი დაავადების შემთხვევის განსაზღვრება[1] (ILI): - მწვავე რესპირატორული დაავადება, რომელიც განვითარდა

უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში და თან ახლდა:

- ტემპერატურა გაზომილია და $\geq 38^0$C, და
- ხველა

მძიმე მწვავე რესპირატორული ინფექცია (SARI): მძიმე მწვავე რესპირატორული დაავადება, რომელიც განვითარდა უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში და თან ახლდა:

- ტემპერატურა გაზომილია და >38C, და
- ხველა
- სუნთქვის გაძნელება
- ჰოსპიტალიზაციის საჭიროება ერთი ღამით მაინც

<u>შ</u>ენიშვნა: ტემპერატურის დოკუმენტირება სავალდებულო არ არის; ცხელების სუბიექტური ანამნეზის თუნდაც ერთი პრეცედენტ წინა სამიდღის განმავლობაში საკმარისია. ჰოსპიტალიზაციის ჩვენება აღნიშნავს მხოლოდ ექიმის შეფასებას და არ მოითხოვს შემდგომში სიტუაციის განვითარების ახსნას.

ბიოლოგიური მასალის აღება დარესპირატორული ინფექციების ეტიოლოგიის განსაზღვრის მიზნით დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიაში გადაგზავნა რუტინულად უნდა წარმოებდეს:

1) ***საყრდენი ბაზის ყველა სამედიცინო მომსახურების პირველადი მიმწოდებლისგან, იმ შემთხვევაზე, რომელიც პასუხობს შემთხვევათა სტანდარტულ განსაზღვრებას და სიმპტომების დაწყებიდან სინჯის აღებამდე 72 საათზე მეტი არ არის გასული;***

2) ***სინჯის აღება ხდება ავრეთვე იმ გამონაკლის შემთხვევაშიც, თუ ექიმი ეჭვს მიიტანს რაიმე უჩვეულო შემთხვევასთან, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს აღნიშნულ ინფექციებს.***

3) ***ადმინისტრაცია ახდენს სამედიცინო მომსახურების პირველადი მიმწოდებლების დაჯგუფებას კვირის დღეების მიხედვით, ის რომ ყველა მათგანს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა ყოველ სამუშაო კვირაში 2 დღე აწარმოოს სინჯის აღება.***

რადგან ეს სიმპტომები საერთოა მრავალი დაავადებისათვის, გრიპისმაგვარი დაავადების შემთხვევათა მკვეთრი და უეცარი მატება, ხშირად გრიპის ვირუსს უკავშირდება

შენიშვნა: თუ პაციენტი რესპირაციული დაავადების შემთხვევათა კლასტერის მონაწილეა ან აკმაყოფილებს ეპიდკვლევის რომელიმე ტრიგერულ კრიტერიუმს, სინჯების აღება აუცილებელია იმის და მიუხედავად,თუ როდის გამოვლინდა დაავადების სიმპტომატიკა.

გრიპის საყრდენი ეპიდზედამხედველობის ბაზებში აღებული სინჯები უნდა გადაიგზავნოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიაში, რომელსაც თან უნდა ახლდეს პროტოკოლით გათვალისწინებული გრიპის ეპიდკვლევის ბარათი შემთხვევებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინებისათვის.

მძიმედ მიმდინარე მწვავე რესპირაციული ინფექციებისა და გრიპის მაგვარი დაავადებების ამბულატორიული შემთხვევების აგრეგირებული და ასაკობრივ ჭრილში დაჯამებული მონაცემები საყრდენი ბაზებიდან, ქვემოთ მოყვანილ ფორმატში, **ყოველკვირეულად** (გასული კვირის ინფორმაცია მომდევნო კვირის ორშაბათს) უნდა წარედგინოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს:

გრიპის საყრდენი ბაზის ყოველკვირეული ანგარიში
აქ გამოგზავნილი ფორმით ჩანაცვლდება

ფორმა 1

საყრდენი ბაზის დასახელება	თვე:	კვირა:	ორშაბათი	რიცხვი	პარასკევი	რიცხვი	წელი:	
დაავადება/ასაკობრივი ჯგუფი	<1	1-4	5-14	15-19	20-29	30-59	60 და მეტი	სულ შემთხვევები
ვიზიტების რაოდენობა სულ								
მ.შ. სტანდარტული განსაღვრების შესაბამისის ნიშნებით								
მ.შ. სინჯი აღებულ იქნა								
ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა სულ								
მ.შ. სტანდარტულ განსაზღვრებას შესაბამისი ნიშნებით								

საყრდენმა ბაზებმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს სინჯების აღებასა და მონაცემთა შეტყობინებას და თვალყური ადევნოს გრიპისმაგვარი დაავადებისა და მძიმედ მიმდინარე მწვავე რესპირაციული დაავადების გავრცელების ტენდენციებს დროთა განმავლობაში. მათი სიხშირის მატება ჩვეულებრივ დონესთან შედარებით შესაძლებელია ეპიდემიის მანიშნებელი აღმოჩნდეს.

გრიპის ახალი ვირუსით ინფიცირების დადასტურების ან ამათუიმშემთხვევის H5N1 ინფექციაზე შესაძლო ან სავარაუდო შემთხვევად კლასიფიცირების დროს აუცილებელია ეპიდკვლევისა და რეაგირების ღონისძიებათა სასწრაფო დაწყება.

საყრდენ ბაზებზე ეპიდ ზედამხედველობას ექვემდებარებიან პაციენტები, რომელთაც აღნიშნული სიმპტომები ნიმუშის აღებამდე 72 საათის (3 დღე-ღამე) განმავლობაში განუვითარდათ. გრიპის ვირუსის გამოყოფა შეუძლებელია დაავადების დაწყებიდან 72 საათის შემდეგ, ვინაიდან ვირემიის დონე მცირდება ციტოკინეზისა და გრიპის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინების მოქმედების გამო. ნიმუში კვლევისათვის არ აიღება, თუ პაციენტს აღენიშნება ექსუდაციური ფარინგიტი. ასევე ზედამხედველობაში არ ჩაერთვება ის ავადმყოფები, რომლებიც თავად განაცხადებენ უარს კვლევაში მონაწილეობაზე.

<u>სინჯის აღებისპროტოკოლი</u>

<u>სინჯის აღების ტექნიკა:</u>

- საყინულიდან გამოიღეთ კრიოსინჯარა, რომელიც შეიცავს ვირუსის სატრანსპორტო ნიადაგს (1-1.5 მლ; სატრანსპორტო ნიადაგი ნიმუშის აღებამდე უნდა ინახებოდეს

-20^{0}C-ზე);

- კრიოსინჯარა მოათავსეთ სატრანსპორტო თერმოსის ერთ-ერთ ჯამში;
- სატრანსპორტო თერმოსის მეორე ჯამში მოათავსეთ გაყინული ფლაკონები ან ყინულის ნაჭრები;
- კრიოსინჯარიანი ჯამი მოათავსეთ ყინულიანი ჯამის თავზე;
- შემთხვევისგან სინჯის აღებაზე თანხმობის შემთხვევაში:
- ამოიღეთ კრიოსინჯარა სატრანსპორტო თერმოსიდან და დანომრეთ ფანქრით;
- დარწმუნდით, რომ კრიოსინჯარის შიგთავსი არაა გაყინული; თუ შიგთავსი გაყინულია მოათბეთ ხელით შიგთავსის გადნობამდე;
- მშრალი პოლიესტერის ბოჭკოვანი დაბოლოების მქონე ერთი აპლიკატორით ნაცხი აიღეთ ნუშურა ჯირკვლებიდან და ხახის წინა ნაწილიდან, ხოლო მეორე აპლიკატორით – ცხვირის ლორწოვანი გარსიდან (ორივე ნესტოდან ნაცხის აღება მოხდება ერთი აპლიკატორით);
- ორივე აპლიკატორი დაუყოვნებლივ მოათავსეთ კრიოსინჯარაში. აპლიკატორის ჯოხი გადატეხეთ და დაახურეთ სინჯარას თავსახური;
- კრიოსინჯარა მაშინვე მოათავსეთ სატრასპორტო თერმოსის მესამე ჯამში;
- სამუშაო დღის დასასრულს აღებული სინჯები გადაიტანეთ თხევადი აზოტის კონტეინერში, ხოლო უხმარი კრიოსინჯარები დააბრუნეთ საყინულეში.
- თუ თხევადი აზოტის კონტეინერი არ გაქვთ, კრიოსინჯარა შეიძლება შეინახოთ მაცივარში +4^{0}C-ზე; მაცივარში ნიმუშის შენახვა მხოლოდ 3 დღეა დასაშვები, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნოს გრიპის ლაბორატორიაში);
- თხევადი აზოტის კონტეინერში ნიმუში ინახება, ყოველი კვირის პარასკევამდე, როცა დკსჯეც-ს მიერ მოხდება მასალისა და თანმხლები დოკუმენტაციის ტრანსპორტირება.

შემთხვევათა შეტყობინების პროცედურები სენტინელური სადგურებისათვის:

ლაბორატორიულ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ყველა შემთხვევაზე ივსება შემდეგი ფორმა და წარედგინება დკსჯეც-ს გრიპის განყოფილებას ყოველი კვირის პარასკევს.

ლაბ. კვლევას დაქვემდებარებული მძიმე მწვავე რესპირაციული დაავადების შემთხვევის შეტყობინების ფორმა

საავადმყოფოს დასახელება _____ ფორმა შეავსო _____

ფორმის შევსების თარიღი --- / --- / 201--

	პაციენტი №	
გვარი, სახელი		
ასაკი ან დაბადების თარიღი	----------წლის ----------თვის	———/ ———/——— რიცხვი/ თვე/ წელი
სქესი (შემოხაზეთ)	მამრობითი	მდედრობითი
მდედრობითი სქესის შემთხვევებისთვის შემოხაზეთ	○ ორსულია; ვადა-------- კვირა	○ ორსულობის შემდგომი პერიოდი (6 კვირა)
მისამართი		
ტელეფონის ნომერი		
თანმხლები ქრონიკული დაავადებები ან მდგომარეობები	○ არ აქვს ქრონიკული დაავადება ○ სასუნთქი სისტემის ○ ასთმა ○ დიაბეტი ○ გულ-სისხლძარღვთა ○ სიმსუქნე: სმი>30; არაა შეფასებული	○ თირკმლების ○ ღვიძლის ○ ნევროლოგიური/ფსიქიური ○ იმუნოდეფიციტი ○ უცნობი ეტიოლოგიის
სიმპტომების დაწყების თარიღი	———/ ———/——— რიცხვი/ თვე/ წელი	

ამ დაავადების გამო სამედიცინო მომსახურებისთვის პირველი მიმართვის თარიღი		——————/ ————/———— რიცხვი/ თვე/ წელი
სინჯი აღების თარიღი	——————/ ————/———— რიცხვი/ თვე/ წელი	
ტემპერატურა გაზომილია და $\geq 38^0C$;	○ დიახ ○ უცნობია	○ არა
გაზომვის მეთოდი	○ პირის ღრუ ○ იღლიის ფოსო	○ სხვა ———————————
ხველა	○ დიახ ○ არა	○ უცნობია
ქოშინი ან გაძნელებული სუნთქვა	○ დიახ ○ არა	○ უცნობია
ჰოსპიტალიზებულია 1 ღამით მაინც	○ დიახ ○ არა	○ უცნობია
გამოსავალი	○ გაეწერა ○ გარდაიცვალა	○ უცნობია
იმყოფებოდა რეანიმაციაში ან ინტენსიურ თერაპიაში	○ დიახ ○ არა	○ საავადმყოფოს არ აქვს საკუთარი რით
ჩატარდა ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია	○ დიახ ○ არა	○ უცნობია
ჩატარებული ჰქონდა სეზონური გრიპის ვაქციანაცია	○ დიახ ○ არა	○ უცნობია
დაენიშნა ანტივირუსული პრეპარატი	○ დიახ თუ დიახ მიუთითეთ რომელი და თარიღი ——————/ ————/———— რიცხვი/ თვე/ ☐ წელი	○ არა ○ უცნობია ☐
ლაბ. კვლევის შედეგი ივსება NCDC-ში	დადებითი – ——————————— უარყოფითი – ——————/ ————/———— რიცხვი/ თვე/ წელი	დადებითი – ——————————— უარყოფითი – ——————/ ————/———— რიცხვი/ თვე/ წელი

პაციენტს ენიჭება უნიკალური ნომერი, პაციენტის უნიკალური ნომერი უნდა ემთხვეოდეს სინჯარის ნომერს.